№ 45 — 1877–1897 — № 45

სამშაბათი, 11 მარტი 1897 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

**კნეინა ელისაბედ ზურაბის ასული ანდრონიკოვისა** და **თავადნი ნიკოლოზ** და **იური მიხეილის ძენი ჭავჭავაძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა: პირველი ძმისას, ხოლო მეორენი ბიძისას გენერალ კავალერიისა

**თავადის ნიკოლოზ ზურაბის ძის ჭავჭავაძისას**

რომელიც გარდაიცვალა 9 მარტს. პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე, ნაშუადღევის პირველს საათზე, და საღამოს რვა საათზედ, განსვენებულის სადგომში, გუდოვიჩის ქუჩაზე, კონსულის სახლში მიცვალებულს გაასვენებენ ქვაშვეთის ეკკლესიაში ოთხშაბათს, 12 მარტს, დილის ათ საათზედ. დასაფლავებული იქმნება 16 მარტს სოფელს ყვარელში, იოანნე ნათლის-მცემლის ეკსლესიაში.

---

28 თებერვალისა დანიშნული **ტფილისის მაზრის კეთილშობილთა კრება** არ შესდგა თავად-აზნაურთა რიცხვის დაუსწრებლობისა მიზეზით. ამის გამო ტფილისის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა მ. პ. ისარლოვმა დანიშნა **ახალი კრება** 30 მარტს, დილის 10 საათზედ, და სთხოვს თავად-აზნაურობას ამა მაზრისას მობძანდნენ აღნიშნულს დროს თავიანთის საბუთებით არჩევანებში დასასწრებლად მაზრის კრებაზედ, რომელიც იქნება კეთილ-შობილ დეპუტატთა საკრებულოს სადგომში.

(3—6.—2)

---

**ნეკროლოგი**

† **თავადი ნ. ზ. ჭავჭავაძე**

გუშინ წინ გარდაიცვალა თ. ნ. ზ. ჭავჭავაძე და ერთი გულ-შემატკივარი კაცი კიდევ მოაკლდა ჩვენს ქვეყანასა, კაცი ჭკუიანი, თავისის საკუთარის მხნეობით და ნიჭით დიდ-ხარისხამდე მიღწეული, თავისის საკუთარის ბეჯითობით და ღვაწლით გონება-გახსნილი და თვალ-ახილებული, კარგი მცოდნე ჩვენის ყოფა-ცხოვრებისა, კარგად ჩახედული ჩვენს ავ-კარგიანობაში. პატარაობითვე ჩვენ შორის გაზრდილა, ჩვენთან ერთად ჭირსა და ლხინში ყოფილა, ჩვენთან ერთად უგრძვნია საგრძნობელი, ჩვენთან ერთად უგლოვნია საგლოველი და ჩვენთან ერთად ულხენია სიხარული. არა ყოფილა ერთი იმისთანა ამბავი, ავი თუ კარგი, რომ იმის გულს არ დასჭდეოდა ღრმად, რაკი ჩვენს ქვეყანას შეეხებოდა რამ. იცოდა სად რა სთქვას რა დროს, სად რა წარმართოს, ვის რა უთხრას და ამისთანაებში თამამი და კადნიერი იყო და არა რაიმე ანგარიში არ დაახევინებდა უკან. მისის მახვილის ენისა, მისის პირდაპირობისა, როცა კი საქმე ატკენდა გულს და საცა ჯერ არს აალაპარაკებდა, ბევრს ეშინოდა, ბევრს ეფიქრებოდა. საცა იგი იყო, აღვირ-აშვებული წყურვილი ქართველთა გაუპატიურებისა ენას მოიკვნეტდა ხოლმე; ხელაღებით ავად ხსენება ქართველისა, რომელიც ბევრს ენაზე აკერია დღესაც, ვითარცა ერთად-ერთი ღონე მოედნიდამ ბურთის გატანისა და წინ ფეხის წადგმისა, მის წინაშე სოროში იმალავდა თავს დამფრთხალ თხუნელასავით.

აწ თვით დადუმდა და საუკუნოდ გამოესალმა თავისს საყვარელს საქართველოს, რომლის სარჩლისა და გამოქომაგებისათვის მას არას დროს არ დაუზოგავს თავი არც დიდისა და არც პატარის წინაშე. მას აქედ რაც თავისს ბრწყინვალე სამსახურს თავი დაანება, იგი მთლად მიეცა ჩვენის ქვეყნის ჭირსა და ბოროტს. არ იყო არც ერთი საერთო საქმე, რომ მთელის გულის მხურვალებით არ მოჰკიდებოდა და სხვებთან ერთად არ ეზრუნა, არ ეფიქრნა საიდამ რა ეშველოს, საიდამ რა მოევლოს. სასურველია კაცმა ხელთ იგდოს იგი წერილები, რომელიც მას მიუწერია საქართველოს შესახებ პეტერბურგში დიდ-კაცებისათვის, რომელთაც თითქმის ყველას იცნობდა და ბევრს მათგანს ისე ემეგობრებოდა, რომ „შენაობით“ ესაუბრებოდა.

აწ იგი მდუმარეა კუბოში, ხოლო კუბოდამაც დაგვანახვა თვისი სიყვარული ქვეყნისა, რომელიც უკანასკნელ ჟამსაც თვალწინ სდგომია. არ იყო მდიდარი კაცი, ხოლო მაინც შეუნახავს საქართველოსთვის თავისი წვლილი შესაწირავად. ორი ათასი თუმანი სტიპენდიათ დაუდვია, რომ ერთი ქართველი გაიზარდოს სამთო ინსტიტუტში და ერთიც უნივერსიტეტში, ხუთასი თუმანი უანდერძებია ყვარლის (ყვარელი მისი სამშობლო სოფელია კახეთში) გლეხთა შვილების სტიპენდიად ან სამეურნოე სკოლაში, ან სემინარიაში.

სხვა რომ სიკეთე არა მიუძღოდეს-რა განსვენებულს, ეს შედარებით უხვად ნაანდერძევი შესაწირავიც დიდი საქმეა ქართველის კაცისაგან, როგორც—თუ არ ერთად-ერთი მაგალითი,—ძალიან იშვიათი მაინც. სიცოცხლის დროს რომ აღარავისს ახსოვს საქართველო, სიკვდილის ჟამს ვისღა მოაგონდება და აკი ისე მივდივართ ხოლმე ამ ქვეყნიდამ, ისე უგულოდ ვტოვებთ ხოლმე ჩვენს სამშობლოს, რომ გროში რა არის, გროშსაც არ გავიმეტებთ მამულის-შვილობის და მადლობის ნიშნად. განა სამშობლო სამადლობელი არ არის, თუნდ მამულის-შვილობაც არ იყოს, რომ დაგვბადა, გაგვზარდა, შეგვივრდომა. გვიპატრონა, გვაცოცხლა და გვაცხოვრა!.

ამ ანდერძიდამ იგივე გონება-გახსნილობა განსვენებულისა სჩანს, რაც სიცოცხლეშივე შენიშნული ჰქონდათ მის მახლობელთა: იგი გულ-მტკივნეული იყო ქართველისათვის განურჩევლად წოდებისა. თავად აზნაურია, თუ გლეხი, ბედნიერება ორივესი ერთნაირად სწყუროდა. ანდერძითაც დაამტკიცა, რომ უკანასკნელ ჟამამდე ეს წმინდა მცნება გულს შერჩენია ჩვენდა სამოძღვრებლად და სამაგალითოდ. შხირად უთქვამს: უერთმანეთოდ ცხოვრება ტყუილი სიზმარიაო, უქმი იმედია უქმის გონებისაო.

მოგვაკლდა კიდევ ერთი კაცი! ჩვენ ამას იმ აზრით-კი არ ვამბობთ, რომ სათვალავში დაგვაკლდაო. საერთო კაცთა სათვალავში ერთი მეტი თუ ნაკლები დიდი თაბაუთი არ არის. ხოლო აქ სხვა დაკლებაა. ხმის ამომღები კაცი მოგვიკვდა, ჭკუიანი მოსარჩლე და გაბედული ქომაგი გამოგვეცალა ხელიდამ. აქ დაკლება დიდი უბედურებაა, ქვეყნისათვის დიდად საგრძნობელი დასაკლისია მით უფრო, რომ მთელს ჩვენს სამშობლოში ორი-სამი ხმის-ამომღები კაცი-ღა გვეგულებოდა და ამათში ერთი აწ განსვენებული თ. ნ. ზ. ჭავჭავაძე იყო. გვეცლებიან, ჩვენდა საუბედუროდ, ხელიდამ ესენი და, ჩვენდა საუბედუროდვე, მომდევართ ველარა ვხედავთ. მიდიან და აღარავინ მოდის მათდა სამაგიეროდ. აი რაშია უბედურება!..

ბევრმა არ იცის, რა გულ-უხვად გა-

---

# ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

ხალხში იარე მთა-ბარად,
თუ ხარ ღვთის მოციქულიო,
ისწავლე ენა ხალხისა
ოქროთი მოქარგულიო,
ასურათხატე უკვდავად
ხალხის სული და გულიო,
იმისი ჭირი და ლხინი,
ჯერ არვისაგან თქმულიო.

დ. მაჩხანელი

---

## ახალი ვარიანტი ქართულის დაბადებისა

(დასასრული *))

უმთავრესს მოღვაწეობას ათონელთა მამათას ის-კი არ შეადგენდა, ვითომც მათ პირველად გვითარგმნეს ჩვენ საეკკლესიო და საღვთისმეტყველო წიგნები, გარნა ის, რომ მათ მოსწყვიტეს საქართველოს ეკკლესია ანტიოქია-იერუსალიმის გავლენას და დაუახლოვეს კონსტანტინოპოლის ეკკლესიას. შემოიღეს აქაური წეს-რიგი; გააუქმეს ყოველი კერძო და განსაკუთრებული წეს-წყობილება ქართულის ეკკლესიისა, ხოლო განსხვავებული რიგი საბერძნეთის ეკკლესიისა შეუთვის-ხორცეს ქართულს ეკკლესიას და თვით საღმრთო წერილის წიგნები ასურულ-ებრაულად თარგმნილები გაასწორეს საბერძნეთში მიღებულის სამეოც-და-ათთა თარგმანით **). აღმოსავლეთის ეკკლესიებს მე-XII საუკუნემდი ჯერ კიდევ არა ჰქონდათ ერთგვარი წესი ღვთისმსახურებისა. შესამჩნევად სხვაობდნენ ერთმანეთში საბა-წმინდის, იერუსალიმის, ანტიოქიის და საბერძნეთის ეკკლესიები. მხოლოდ ამ საუკუნეში და განსაკუთრებით ურბნის-რუისის კრების შემდეგ—ძველი წეს წყობილება ღვთის მსახურებისა უარ-ყოფილ იქმნა და ათონელთ მამათაგან ახლად თარგმნილნი და გასწორებულნი წიგნები შემოიღეს, ე. ი. დაამყარეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოის საღვთის-მსახურო წესი. ამას ნათლად ამტკიცებენ გულანები ეკკლესიათა: გელათის, ბედიის, ქუთაისის ბაგრატ IV საყდრისა, მოქვის, მარტყოფის, ცაიშის და ხოფისა (საეკკ. მუზ. №№ 186 და 187 ***)). ხშირად შევხვდებით ჩვენ აქ წარწერებს ტექსტში, ან არშიაზედ: „ესრედ გვისწავლიეს პალესტინეს“; არ გვისწავლიეს მამათაგან ჩუႢნ პალესტინელთა შინა თქუმით“.

ძნელად დასაჯერებელია აგრეთვე ის აზრი, ვითომც პირველი თარგმანი დაბადებისა, როგორაც სხვა საღმრთო-მსახურების წიგნებისა, ჩვენა გვქონდეს მიღებული ანტიოქიის საპატრიარქოდგან. ეს აზრი იმაზეა დამყარებული, რომ საქართველოს ეკკლესია პირველად ანტიოქიის საპატრიარქოში ითვლებოდა. წინააღმდეგ მრავალი საბუთები მოიპოვება იმის დასამტკიცებლად, რომ უძველესი ნათარგმნები საღმრთო წიგნთა წმინდათა მამათ დაუწერიათ იერუსალიმში, საბა-წმინდაში, ხანმეტში, სინას მთაში და სხვ. უძველესი თარგმანი იწოდებოდა, როგორც ვიცით, იერუსალიმელად, საბა-წმინდურად, ხანმეტურად, ხოლო მე-X—XI საუკუნის ნათარგმნები „ათონურად“, „მთაწმინდურად“, „ბერძნულად“.

საეკკლესიო სიონის ტაძრის მუზეუმში № 37 ინახება მცხეთიდგან მოტანილი ეტრატის დავითნი ასომთავრულად დაწერილი—974 წ., რომელსაც წინ უძღვის ასომთავრულადვე დაწერილი განმარტება ფსალმუნთა ათანასე ალექსანდრიელისა. ეს დავითნი შეიცავს ფსალმუნთა 150 ფურცელს, 22—208, ფსალმუნთ დამატებასა (ფურც. 209—288) და უკანასკნელ საკითხავს, რომლის სათაურშიაც მოხსენებულია წელიწადიქ რისტეს ჯვარცმამდე: ჰფლდ და შემდგომ ჯუარცმის ვიდრე მოაქამომდე: შოდ: (974) წ. ფრიად საყურადღებოა ამ შემთხვევაში შემდეგი ხუცური წარწერა, გადმოღებული ბ-ნ თ. ჟორდანიას ხელით: „განყოფა კანონთა სამად გალობასა შინა, სადა დიდება ითქმის, ესრეთ ჰცან, ვითარ ქართველნი განჳყოფენ... ხოლო ვითარ ბერძნულნი და იჳრუსალიმელნი განჳყოფენ, ესრეთ იხილე და ცან: სადა ჰყოფენ თავსა კანონთასა, წითლითა ზის თავი და სადა ფსალმუნთა დიდებას. ჳყოფენ, და არიან რომელნიმე ერთფერად და სწორად იჳრუსალიმელთაჲ და ქართველთაჲ კანონიცა და ფსალმუნიცა“ ****). როგორც სჩანს ამ წარწერიდგან უძველესი თარგმანი დავითნისა სხვა ყოფილა და ეს განერჩეოდა როგორც ბერძნულსა, ისე იერუსალიმელს, ხოლო ეს თარგმანი დავითნისა ხელ-ახლა გაუსწორებია ებრაულ ანუ იერუსალიმელ ტექსტით. მართლაც, დასძენს ამას ბ-ნი ჟორდანია, ეს ხელნაწერი თითქმის სიტყვა-სიტყვით ეთანხმება ებრაულს და განერჩევა ბერძნულს, რომელიც სამეოც-და-ათთა მთარგმნელთა ტექსტს მისდევს.

ამავე აზრს ამტკიცებს აგრეთვე აღმოჩენილი სინაის მონასტერში ბ-ნ პროფესორის ცაგარელის მიერ პაპირუსზე დაწერილი დავითნი, რომელსაც იგი მიაწერს VII—VIII საუკ. მომეტებული ნაწილი ამ დავითნისა, პროფესორის თქმით, არის დღეს მთლად დაცული სინაის მონასტერში. ეს შესანიშნავი და საყურადღებო დავითნი ყოფილა დაწერილი ნუსხა ხუცურის ხელით. საყურადღებოა განსაკუთრებით წარწერა 136 ფსალმუნისა: „ფსალმუნი დავითისაჲ კელითა იერემიაჲსითა გადმოწერილი ებრაელთაგან (როლვ) *****) აქედგან ცხადად სჩანს, რომ იგი არის ნათარგმნი ებრაულ ენისაგან.

სიონის ტაძრისავე მუზეუმში მინახავს და მე თითონ არა ერთხელ მქონია ხელში ათონის ქართულის დაბადების პირი, გადმოღებული 1849 წ. ათონის მთაზედ დაცულის, ორ დიდ ფოლიანტად, ქართულის დაბადების ვარიანტიდგან. ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც სჩანს მის ბოლო სიტყვაობიდგან არის მოპოვებული იოანნე, წმ. ეფთიმეს მამისაგან და როდესაც გადაწერილა ყოფილა ქორონიკონი რჲႣ (978 წ.) ******)

ყველა ეს ეჭვს გარეშე ჰყოფს იმ მოსაზრებას, რომ თარგმანი ქართუ-

---

*) იხ. „ივერია“, № 42.

**) გარდა დავითნისა, რომელიც არის გასწორებული წმ. გიორგი მთაწმინდელისაგან, დაბადება არავისგან არ გასწორებულა მეფე არჩილ და ბატონიშვილ ბაქარის დრომდე.

***) ქრონიკები ბ-ს ჟორდანიასი. ტფილისი, 1893 წ., გვ. 110.

****) ქრონიკები—თ. ჟორდანიასი, გვერდი 94. ტფილისი 1893 წ.

*****) Православный палестинскій Сборникъ—проф. Цагарели. Выпуск. Ш, стр. 193 спб 1888 г.

******) Свѣдѣнія о памятникахъ Грузинской писменности А. А. Цагарели Выпускъ I, стр. 5 спб. 1886 г.

უსტუმრებია აწ მიცვალებულს ღარიბნი და უნუგეშონი, როცა მისთვის გაუწვდიათ ხელი და როდის არ გაუწვდიათ? ბევრმა არ იცის, რამდენისათვის შემწეობა აღმოუჩენია არამც თუ მარტო ფულით, რომელსაც ერთობ არა ჰზოგავდა გაჭირვებულთათვის, არამედ სიტყვით, დახმარებით, შუამდგომელობით საცა ჯერ არს. ბევრნი მის მიერ ნუგეშ-ცემულნი, ტირილით და გლოვით გააცილებენ მისს კუბოს და უანგარო ცრემლს დაღვრიან მისს საფლავზე. ბევრნი აწ უნუგეშოდ შთენილნი იტყვიან: ღმერთო, წაგვართვი ჩვენი პატრონი და ნუგეშ-მცემელი და სამაგიეროდ-ღა ვის გვაძლევო!.

## მთავრობის განკარგულებანი

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ქუთაისის გუბერნიის მაზრების და ოლქების უფროსთ, პოლიცმეისტერთ და ბეითლებს მიწერილობა გაუგზავნა, რომელშიაც, 10 მარტს 1897 წ. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულის განკარგულებისა გამო, ნაბრძანებია: რა რომ ამ მოწერილობას მიიღებთ, დაუყოვნებლივ ცნობაში მოიყვანეთ, თქვენდამი რწმუნებული ადგილები საქონლის ჭირის მხრივ რამდენად უზიანოა. ამას დავსძენ, რომ თუ სადმე სენი აღმოჩნდა და იგი ადგილობრივ ბეითლის მიერ საქონლის ჭირად იქმნა ცნობილი, უქაურ მაზრის ან ოლქის უფროსმა, ან პოლიცმეისტერმა და ადგილობრივმა ბეითალმა როგორც მე, ისე კავკასიის საქმითმართველობას დეპეშით უნდა გვაცნობონ, რომელშიდაც დასახელებული უნდა იყოს: ის ადგილი სადაც ჭირი არსებობს, რამდენი საქონელია ავად, რამდენი დაიხოცა და დასაკლავებით რა ღირს დაავადმყოფებული საქონელი, რომელიც უნდა მოიკლას, რომლის შემდეგ იმავე მაზრის ან ოლქის უფროსს, ანუ პოლიცმეისტერს შესაფერი თანხა გადაეცემა საქონლის პატრონთა დასაჯილდოვებლად.

იმ კომისიაში, რომელმაც ჭირიანის საქონლის დახოცვის შესახებ განკარგულება უნდა მოახდინოს, საბეითალო ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლის კრეიდნერისა და ადგილობრივ ბეითლის გარდა, უთუოდ იქაური მაზრის ან ოლქის უფროსი, ან პოლიცმეისტერი, და თუ იმათ პატივსადები მიზეზისა გამო არ შეუძლიანთ, იმათი თანაშემწე უნდა იყოს, ამასთანავე ადგილობრივ პოლიციის ბოქაული, სოფლის მამასახლისი და ქალაქებში ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელი და საქონლის პატრონთა მიერ არჩეული ადგილობრივ მკვიდრთაგან 2 დეპუტატი.

კომისიის დადგენილებით მოკლულ საქონლისა და მოსპობილი ნივთების ფასი პატრონთ დაუყოვნებლივ და სავსებით უნდა მიეცეს, ისე რომ იმ ფულს იმათზე დარჩენილი სახელმწიფო გადასახადიც არ გამოაკლდება. ფულის მიმღებთ ბარათი ჩამოერთმევათ. ამასთანავე საჭიროდ ვრაცხ წინასწარ გაცნობოთ, რომ ხსენებულ სასყიდლის მიღების უფლება მხოლოდ საქონლის პატრონთ აქვთ, რომელნიც თავიანთ საქონლის დასნეულებას თავისს დროზედ აცნობებენ ადგილობრივს მთავრობას, რომელმაც ეს ამბავი დაუყოვნებლივვე ადგილობრივს ბეითალს უნდა შეატყობინოს.

# ახალი ამბავი

*** კვირას, 9 მარტს, ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება არ შესდგა, რადგან წევრთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა.

*** დღეს, 11 მარტს, კავკასიის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში მეორედ ვაჭრობაა დანიშნული იმ მამულების გასასყიდად, რომელთა პატრონებმა ხვედრი ფული არ გადაიხადეს. გასასყიდლად ორი მამულია დანიშნული: ერთი ტფილისის მაზრისა და მეორეც თელავისა.

*** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიასთან საკვირაო სამრევლო სასწავლებლის გამართვა განუზრახავთ და ამ საქმის შესახებ იმავე ეკკლესიის წინამძღვარს მარკოზ ტყემალაძეს და მღვდელს გრიგოლ გამდლიშვილს ნება-რთვა და ლოცვა-კურთხევა უთხოვიათ საქართველოს ექსარხოსის ყოვლად მაღალ უსამღვდელოესის ვლადიმერისათვის.

*** კვირას, 9 მარტს, კავკასიის მცირე წლოვანთა გამწვრთნელის სამიწად-მოქმედო ახალშენის საზოგადოების კრება იყო, რომელმაც წასულის წლის შემოსავალ-გასავალის ანგარიში და მიმდინარე წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა.

1896 წ. 1 იანვარს საზოგადოებას 26,219 მან. 03 კაპ. ჰქონია, იმავე წელში შემოსულა: საწევრო ფული 1,969 მან., თანხის %%—950 მან., ქალაქებისა და სხვა-დასხვა დაწესებულებათაგან—850 მან., სხვა-და-სხვა შემოსავალი—356 მან. 55 კაპ. შემოწირულებანი—120 მან. 25 კაპ., ახალშენის შესანახად ოქროყანაში დახარჯულა 4647 მან. 47 კაპ.

საანგარიშო წელში ახალ-შენში სულ 26 ბავშვი ყოფილა, რომელთა შორის ქალაქელი 17 ყოფილა, ხოლო სოფლელი—9, და ყველა ისინი ქურდობისა გამო ყოფილან გაგზავნილი, გარდა ერთისა, რომელიც მშობლების სურვილით არის ახალშენში.

ამ ახალგაზდა დამნაშავეთ ასწავლიდნენ: დურგლობას, ხარაზობას, ბაღოსნობას და ამასთანავე წერა-კითხვას, საღმრთო წერილს და გალობას.

*** როგორც ჩვენს გაზეთშიაც გვქონდა გამოცხადებული, კვირას, 9 მარტს, ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიასთან სამრევლო საკვირაო სასწავლებელი გაიხსნა. სასწავლებელი აკურთხეს იმავე ეკკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა სოლომონ ელიოზიშვილმა და ქვაშვეთის ეკკლესიის მღვდელმა გრიგოლ გამდლიშვილმა. კურთხევის შემდეგ მოკლე, საგულისხმო და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვეს დეკანოზმა ელიოზიშვილმა და ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელმა ივანე რატიშვილმა. სასწავლებლის კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო. სწავლის სურვილი მრავალმა განაცხადა და მაშინვე სამოცამდის კაცი ჩაეწერა, რომელთა-შორის ზოგიერთი ხანში შესული ადამიანიც ერია. მასწავლებლობა, სათავად აზნაურო სასწავლებლის მასწავლებლებმა იკისრეს, რომლებიც დიდ მონაწილეობას იღებდნენ ამ სასწავლებლის დაარსების საქმეში.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ინჟინერმა განკარგულება მოახდინა: რადგანაც იმაზე მეტი პროცენტი ჰმსახურებს ტელეგრაფის მოხელე ქალებისა, რამდენიც კანონით შეიძლებაო, ამიტომ ხუთი ქალი კანდიდატი, რომლებსაც თითო თუმანი ეძლევათ, დათხოვნილ იქნენო. ამ ქალებთა შორის ორი ქართველი იყო და ქუთაისის სადგურზედ ჰმსახურებდნენ.

*** ჩვენ მივიღეთ ცალკე წიგნაკად გამოცემული პოლერვიეს სამმოქმედებიანი დრამა „ბრჭყალები,“ თარგმანი ი. მაჭავარიანისა. ეს დრამა „მოამბე“-ში იყო დაბეჭდილი. წიგნი ჰღირს 30 კაპ.

*** 8 მარტს, ღამის 9 ს. 30 წ., როცა სახალხო მატარებელი ავჭალიდგან ტფილისში მოდიოდა, მე-285 ვერსზე მაშინისტმა ხუთის საჟენის მანძილზე ლიანდაგზედ ვეება რაღაც შენიშნა და იმ წამსვე გააჩერა მატარებელი. რომ მივიდნენ და ნახეს, ლიანდაგზედ ვეებერთელა ქვა დაედოთ ვიღაც ბოროტ მოქმედთ, რომელიც მატარებელს ადვილად გადაჩეხავდა. გამოძიება სწარმოებს.

*** კავკავის საბჭოს ახლად არჩეულს 59 ხმოსანთაგან 42 რუსია 8 სომეხი, 4 გერმანელი, 2 ქართველი, 1 კუზიკი, 1 ოსი და 1 ებრაელი. იქაურ გაზეთების რედაქტორები მალკოედოვი და სამოილოვი და ამასთანავე ეხლანდელი გამგეობის ერთი წევრი და ქალაქის მოურავი ბ-ნი სუხოვი არჩევნების დროს გაშავებულ იქმნენ. ახალ ხმოსანთა შორის 23 კაცი ისეთია, რომელთაც უმაღლესი სასწავლებელი დაუმთავრებიათ და 10-ს სპეციალური სასწავლებელი აქვთ დამთავრებული.

*** „ტიფ. ლისტ.“-ის სიტყვით, 26 თებერვალს დონღუზარაში (ივრის ხეობა, სიღნაღის მაზრა) მეცხვარე ილიკო მცხვარაშვილს ყაზახის მაზრის თათრები თავს დასხმიან და 475 თავი ცხვარი წაურთმევიათ.

*** თავად-აზნაურობის თეატრი კვლავ ვ. გუნიასა და კ. მესხს აუღიათ იჯარით სამის წლის ვადით.

*** საფრანგეთის მთავრობამ თავისს ელჩს დაავალა ტფილისში შეჰკრიბოს საჭირო ცნობები იმის შესახებ, რა ფასი აქვს ცხვარს ამიერ-კავკასიაში; განზრახვა აქვთ ცხვარი იყიდონ ჩვენს ქვეყანაში და საფრანგეთში ჰგზავნონ. („ს.-პეტ. ვედ.“)

---

ლი დაბადებისა დასრულებულა ბევრით ადრე, ვიდრე დაფუძნდებოდა ქართველთ ივერიის მონასტერი ათონის მთაზედ (980—982 წ.).

ასეთის აზრისაა, სხვათა შორის, განსვენებული ისტორიკოსი დ. ზ. ბაქრაძეც. „თუ შესაწყნარებელია, რომ ქ. ცხოვრება ძველადვეა შედგენილი, მაშ შესაძლებელი უნდა იყოს, რომ მირიანის დროს თუ არა, ვახტანგის დროს მაინც ნამდვილად გვქონია უცხო ენიდგან ნათარგმნი წიგნები; რომ ჩვენის მატიანის „გარდმოცემა, „მეუღლეს მირდატ მეფისას (408—410) საგდეხტს უთარგმნესო სახარება; ფარსმან VI-მ (542—557) „მისცაო ევაგრეს სახარება, ფრიად მშვენიერად შემკობილი სანატრელის მეფის ვახტანგის-მიერ,“ არ არის უარ საყოფელი გარდმოცემა. ჩვენა გვაქვს ორი ძველად-ძველი ვარიანტი სახარებისა „ქსნისა“ და „ურბნისისა,“ აგრეთვე მე-VIII-IX საუკუნოების ტყავზედ ნაწერი წიგნები. ამათი კითხვა გვიჩვენებს პირველად იმას, რომ თუ იმ დროს მწიგნობრობის ენა ისე ყოფილა განვითარებული, როგორც იგინი გვიჩვენებენ, მაშ ცხადია ამ ენას მანამდე რამდენიმე საუკუნე უვარჯიშნია; მეორედ იმისა, რომ მაშინ არა თუ ახალი მცნება, თვით ბიბლიაც თარგმნილი გვქონია *) თუ ვინ იყვნენ ამის მთარგმნელნი და როდის გადათარგმნილა ქ. დაბადება, ამის გამორკვევას ჩვენ გადავდებთ შემდეგისათვის. საჭიროდ ვსთვლით მოვიყვანოთ მხოლოდ ამის შესახებ აზრი მეფე ერეკლის II მოძღვრის და კარის ეკკლესიის მღვდლის ზაქარია გაბაშვილისა, ცნობილის მეცნიერის და კალიგრაფისა, რომელიც აქვს მოწერილი ბოლოში პროკლე დიოდოსის წიგნის „კავშირი“-ს თარგმანს. „ძუჱლსა წიგნსა შინა მიხილავს მე ზაქარია მოძღუარსა და მუნით გარდმომიწერიეს მრავალთა ჟამითგან უწინარეს ეფთიმი და გიორგი წმიდათა მამათა მთარგმნელთასა, დავით და სტეფანე ქართჳელთა გჳარისანი იერუსალიმს მიიწივნეს და მუნ შეკრბეს ელლინთა ენა-მზეობასა და პირჳელად მათ გადმოთარგმნეს რაოდენნიმე საეკლესიონნი წიგნნი ბერძულისაგან ქართულად და არაბთა ენისაგანაცა სამღთონი წიგნნი გარდმოიღეს მრავლითა შრომითა და შემდგომად მრავლის ჟამისა აღეშენა საყდარი პორტაიტისა ღჳთის-მშობლისა და შეკრბეს მრავალნი ქართუჱლნი მონაზონნი და მათ შორის გამოჩნდეს სამცხით ღირსნი მონაზონნი საბა თუხარელი და ეფრემ მცირე მოწაფე იოანნე პეტრიწისა: ესე ეფრემ ფრიად აიძულა საბა თუხარელმან თარგმანებად რაოდენთამე წიგნთა, რომელნი არა თარგმნილ-იყვნეს ენასა ჩუჱნსა, და გარდამოთარგმნა წიგნი დიონისი არიოპაგელისა და გრიგოლი ღუთის-მეტყუელისა ლავსაიკონი, დავითნის თარგმანა ორ-საწილად, სჯულის კანონი დიდი და რომელნიმე ცხოვრებანი და წამებანი წმიდათანი... ხოლო ეფრემ იყო შავსა მთასა და ოდესმე იერუსალიმსაცა“*).

სამწუხაროდ, აღნიშნული ვარიანტი სრული არ არის. ბევრი წიგნი სრულებით არ მოიპოვება შიგ, ხოლო არსებულს წიგნებს მრავლად აკლია არამც თუ მუხლები, მთელი თავებიც-კი. სრულებით არ მოიპოვება შემდეგი წიგნები: ესაიასი, იერემიასი, ბარუქისა, ეზეკიელისი, დანიელისი, ოსესი, იოველისი, ამოსისი, აბდიასი, იონასი, მიქიასი, ნაუმისა, ამბაკუმისი, სოფონიასი, ანგიასი, ზაქარიასი, მალაქიასი, იესო მინა ზირაქისა, და მაკაბელთა. მესამე წიგნი ეზრასი, მეორე ეზრას წიგნად არის ჩათვლილი, მეორე მისივე წიგნი არის ჩათვლილი მესამედ ეზარაჲსა. ხოლო არსებულს წიგნებში ბევრი გამოშვებული ადგილებია. განსაკუთრებით ბევრი ადგილებია გამოშვებული წიგნებში „იგავნი სოლომონისანი“, სიბრძნე სოლომონისა, და ეკკლესიასტეში. პირველს „იგავნი სოლომონისანი“ აკლია მთლად ორი თავი 26 და 27. დანაშთენ თავებში ბევრი გამოშვებული ადგილებია: მე-7 თავს ბოლოში აკლია შვიდი მუხლი; მე-11-ს აკლია 13 ვიდრე 16 მუხლამდე. თავს მე-13-ს აკლია მეცხრე მუხლიდგან მე-18-მდე: თავს მე-14-ს—მეშვიდე მუხლიდგან ვიდრე მეთოთხმეტემდე. თავს მე-7-ს—თექვსმეტი პირველ მუხლი. თავს 19-ს აკლია ორი პირველი მუხლი, შემდეგ 26-დგან ვიდრე 29 მუხლამდე. თავს 22 აკლია მეოთხე მუხლიდან ვიდრე მეათემდე, შემდეგ 18-გან ვიდრე 21 მუხლამდე. თავს 24 აკლია მეექვსიდგან ვიდრე 14 მუხლამდე. თავს 25 აკლია 15-დან ვიდრე ბოლომდე. თავს 28 აკლია პირველი 9 მუხლი. წიგნს „ეკლესიასტეს“ აკლია თავები მე-6, 7, 8, 9, 10, 11 და 12. მეხუთე თავისა არის სულ ორი მუხლი. ამ წიგნისა არის ორი ეგზემპლიარი.

წიგნს „იგავნი სოლომონისანი“ აკლია შემდეგი თავები: მეშვიდე, მერვე, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18 და 19. დანაშთენ თავებში ბევრი ადგილი გამოტოვებულია. აკლიათ: მეორე თავს 7 მუხლი, მესამეს—9 მუხლი; მეოთხე თავში არის მუხლები 7-დგან ვიდრე მეთექვსმეტამდე; მეექვსე თავში არის მხოლოდ სამი მუხლი: მეორე, მესამე და მეოთხე.

ესთერის წიგნში ექვსი მეტი თავია შედარებით სლავიანურის დაბადებისა.

ერთს ღირსებას ამ დაბადებისას შეადგენს კიდევ დიალოგიური (უბნობითი) ფორმა ამ ვარიანტის წიგნისა სახელად „ქება-ქებათა“. ამ მხრივ ეს ვარიანტი წარმოადგენს ერთს საინტერესო საღმრთო მწერლობის ნაშთს,რომლის მსგავსს შეხვდებით მხოლოდ უძველესს ბერძნულ მე-IV—VI საუკუნეების დაბადების კოდექსებში. ამნაირივე დიალოგიური ფორმა აქვს ამ წიგნს, როგორც ვიცით ბ-ნ ცაგარელის შრომიდგან, ათონის ვარიანტის დაბადებაში, მხოლოდ მცხეთის ვარიანტის „ქება-ქებათა„ უფრო სუფთა და წმინდა ქართულის ენით არის ნათარგმნი.

ა. ნატროშვილი

---

*) დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი, გვერდი 170, ტფილისი, 1889 წ.

მართლაც თუ რამდენად განვითარებული ყოფილა ისევ მე-X საუკუნეში ჩვენი მწერლობითი ენა, ეს სჩანს შემდეგის ნიმუშიდგან, რომელიც მიეწერება იოანნე მტბევრელ ეპისკოპოსს: „იხარებდენ დღეს ცანი ცათანი: იხარებდით ცანი და იშუებდით: ქვეყანაჲ და ზღუაჲ: მკვიდრთა თვისთა თანა დღეს ღირსად ბეთლემ განემზადე და შეიმკვე ქუაბო. და შენ აწ ბაგაო, შეიწყნარე ნათელი ზეცით. რამეთუ აჩრდილი განქარდა. ღმერთი რაჲ კაც იქმნა ჩვენთვის და სხვ.“ (საუნჯე მეათე საუკუნისა. მ. ჯანაშვილი. ტფილისი 1891 წ., გვერდი 20).

*) Описаніе древностей г. Тифлиса. —П. Іосселіани, стр. 154. Тифлисъ 1866 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

** ამავე გაზ. სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტროს წელს 11,930 მანათი გადაუდვია სასოფლო სამეურნეო სადგურების გასამართავად ამიერ-კავკასიაში.

** როგორც „ტიფ. ლისტ.“ მოგვითხრობს, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს, ბ-ნ მედვედევს, სამინისტროსაგან მიღებულის დეპეშისა გამო, თავის თანაშემწის ბ-ნ შიმანოვსკისათვის მიუნდვია, მუშტაიდის საფუტკრის საქმე გამოიძიე და იქაურს მოხელეთა შორის ატეხილი უსიამოვნება გამოარკვიეო.

** „სუდებნაია გაზ.“ გვაუწყებს, რომ გზათა სამინისტროს უწყების სასწავლებლებში წელს ეგზამენები არ იქნება, მოსწავლეები კლასიდგან კლასში იმისდა მიხედვით იქმნებიან გადაყვანილნი თუ მთელის წლის განმავლობაში როგორ სწავლობდნენ. ეგზამენები მხოლოდ იმათთვის იქმნება, ვინც საშუალო სასწავლებელს ამთავრებსო.

** როგორც „ნოვ. ობოზ.“ გვაუწყებს, 2,000 მან., რომელიც კავკასიის საფილოქსერო კამიტეტმა იმ მემამულეთა დასაჯილდოებლად გადასდო, რომელთა ვენახები ფილოქსერასთან ბრძოლის დროს საფილოქსერო დასებმა გადათხარეს და დასწვეს თურმე იმ ზარალის მხოლოდ 1/3 შეადგენს, რომელიც მემამულეთ მოსვლიათ. კამიტეტის დადგენილებით, ხვედრი ფული თვით იმ საზოგადოების მცხოვრებლებმა უნდა გაუნაწილონ დაზიანებულთ, სადა ეს უკანასკნელნი სცხოვრობენ. გორის მაზრის საზოგადოებათ დაენიშნა: ცხინვალისას—8 მ. 20 კაპ., წუნარისას—90 მან. 63 კაპ., ოქონისას—36 მან. 79 კაპ., ცეროვნისას—49 მან. 27 კაპ., ნაბახტევისას—680 მან. 27 კაპ., სურამისას—475 მან. 94 კაპ., ქვიშხეთისას—81 მან. 67 კაპ., ბორჯომისას—2 მან. 03 კაპ., და ხრცისისას—92 მან. 17 კაპ. ლეჩხუმის მაზრაში: დერჩის საზოგადოებას—260 მან. 28 კაპ. და ნაყურალეშის—20 მან. 44 კაპ. რაჭის მაზრაში: ცახის საზოგადოებას—167 მან. 72 კაპ. და ბაჯისას—33 მან. 59 კაპ.

** ბათუმი. 6 მარტს, ქუთაისის ქუჩაზედ ღამით გასტეხეს ანტონ მუჰირის მაღაზია, საიდგანაც 100 მანეთის ღირებული შეკერილი ტანისამოსი გაიტანეს. საკვირველია, ღმერთმანი, ამისთანა აშკარა ქურდობა პირველს ქუჩაზედ, სადაც მთელს ღამეს კაცის ფეხი არა სწყდება.

** სოფ. ნატოჩაო (სენაკის მაზრა): ამ ბოლოს დროს ჩვენს საზოგადოებას კვლავ გაუჩნდნენ კბილის მატლივით ღამის რაინდები. ეს ვაჟ-ბატონები ისე დათარეშობენ, რომ არც არავისი ეშინიანთ და არც არავის ერიდებიან. უფრო-კი იპარავენ შინაურს ოთხ-ფეხს საქონელს. სხვათა შორის 20 თებერვალს, ჩვენის სოფლის მცხოვრებს ტოტი ზეფსაშვილს ერთი უღელი ხარი მოჰპარეს. ქურდებს დაემტვრიათ კარების დიდი ბოქლომი, გამოეყვანათ შიგ დაბმული ხარები და არხეინად გასდგომოდნენ გზას. გულდაწყვეტილი პატრონი მეორე დღეს მეზობლების დახმარებით გამოუდგა ქურდების კვალს, მაგრამ ვერ დაეწია.

ამ ჟამად აქეთ ხშირია: ანთება, მჭვალი და სურდო-ხველა. უფრო-კი მჭვალით არიან ავად...

** 8 მარტს, ღამის 11 საათზედ, პოლიციის 1 ლ განყოფილებაში, სატივოზედ, ილიკო ტრანკაშვილის დუქანში დუმელის ძალზედ გახურებისა გამო ცეცხლი გაჩნდა და შენობის ხის ნაწილი სულ ერთიანად დაიწვა. დუქანში რაც ნივთები იყო, გადაარჩინეს. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ჩააქრო ცეცხლი.

** 9 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზედ, მე-9 პოლიციის განყოფილების მოხელემ ოსიპოვმა—ეკკლესიის ვიწრო ქუჩაზედ ტფილისის მოქალაქე გეურქ სარქისას მე ოჭანესოვი შეიპყრო, რომელიც საპყრობილედგან ამ დღეებში გამოუშვეს და რომელმაც მღვდლის მეუღლეს მარიამ გიორგის ასულს ცხვეთაძისას ჯიბიდგან ფულის ქისა ამოაცალა. ქისაში 12 მან. ფული და სხვა-და-სხვა ნარათები იყო. გაჩხრეკის დროს ოჭანესოვს ჯიბეში ქისა უპოვნეს ფულით და კუთვნილებისამებრ მარიამ ცხვეთაძისას გადასცეს.

** 9 მარტს, საღამოთი სახელმწიფო თეატრის წინ პოლიციის მოხელე მაჭავარიანმა ტფილისის მოქალაქე არშაკ ფირუმოვი დაატუსაღა, რომელიც თეატრის ბილეთებს მოგებით ჰყიდდა და პოლიციის მე-3 განყოფილებაში გაგზავნა.

იმავე საღამოს, წარმოდგენის დროს, თეატრის გაღებული ფანჯრიდგან ვიღაც უცნობმა კაცმა ქ-ნი ბერძენოვის წამოსასხამი მოიპარა. ქურდის დაჭერა ვერ მოასწრეს; წამოსასხამი იპოვნეს. ქურდის ამხანაგები არტემ მხითაროვი და კონსტანტინე მიქელაძე, რომლებმაც იმისი ვინაობა არ გამოამჟღავნეს, პოლიციის მე-3 განყოფილებაში იქმნენ გაგზავნილნი.

—+—

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ჭიათურა**, 6 მარტი. ვინც-კი შავს ქვაზედ სწერდა რასმე, თითქმის ყველა ამ ნაირად იწყებდა თავისს წერილს: „ძველ დროში შავი ქვა წყევლად იყო შემოღებულიო—„ი შენ და შავი ქვაო, ახლა კი ყველასთვის სანატრელი შეიქმნა ეს წყევლაო“. წარმოიდგინეთ, დამის არის ეს შავი ქვა ისევ წყევლად შეიქმნას ძველებურად, რადგანაც შავის ქვის საქმე უკიდურეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. დღეს ჭიათურაში შავის ქვის ფასი 5½ კაპ. ფუთი. იყო დრო, როდესაც 11 კაპეიკად იყიდებოდა ფუთი. ყველა ადვილად მიხვდება, თუ რა მდგომარეობაში უნდა იყოს ჩავარდნილი თვით ადგილობრივი მწარმოებელი და მერე მუშა ამომღებელი ქვისა და ჩარვადარი, რომელსაც ეს ამოღებული შავი ქვა ჩამოაქვს რკინის გზის სადგურზედ.

აი, სწორედ ამისთანა შევიწროებულმა მდგომარეობამ აიძულა შეერთებულიყვნენ, როგორც ადგილობრივ უწოდებენ, „ფოდრაჩიკები“, შავის ქვის წვრილი მწარმოებელნი. ჭიათურაში არიან სხვა-და სხვა გვარი მწარმოებელნი: დიდი ფირმები და ამხანაგობანი, რომლებსაც პირდაპირ საზღვარ გარეთ აქვთ საქმე დაჭერილი, მემამულენი და წვრილნი მწარმოებელნი. ეს წვრილნი მწარმოებელნი თავიანთის შრომითა და ფულით „აკეთებენ“ შავს ქვას და აბარებენ მომზადებულ ქვას დიდ ფირმებს ჭიათურაში რკინის გზის სადგურზედ. 2 მარტს ამ წვრილ მწარმოებლებმა შეადგინეს ამხანაგობა და უწოდეს სახელად „შავის ქვის გაჭრობის ამხანაგობა.“ ამ ამხანაგობის პროექტი უკვე შედგენილია, რომელსაც საგნად აქვს ასწიოს შავის ქვის ფასი ადგილობრივ. ამხანაგები შეეკვრნენ ერთმანეთს პირობით, რომ არავის მიჰყიდონ ქვა ამხანაგობის წარმომადგენელის დაუკითხავად და ნება-დაურთველად. ეს ამხანაგობა მგონია რომ უკანასკნელი უნდა იყოს: თუ ესეც არ შესდგა წესიერად და ზოგიერთი წევრი გამოძვრა და მხარი არ მისცა ამხანაგობას ჩვენებურად, მაშინ ძნელად, რომ ადგილობრივ ქვის ფასმა აიწიოს. ამიტომ ვისურვებთ, რომ ამ ამხანაგობას წვრილ მწარმოებელთაგანი არავინ გამოარჩენოდეს, რათა კვლავ არ ჩავარდნენ იმ მდგომარეობაში, როგორშიაც დღეს ესენი არიან.

წელიწადზედ მეტია, მწარმოებლებს ქვა ჩაუბარებიათ ბერძნების ფირმებისათვის და ფული ეხლაც არა აქვთ აღებული. სწორედ ეს ბერძნები არიან, რომ წაახდინეს ქვის ფასი თავიანთის მეღურის მოხერხებით აქაცა და საზღვარ-გარედაც. იღებენ ქვას წვრილ მწარმოებლისაგან, ფულს შაბათისათვის ჰპირდებიან და ეს შაბათი-კი არ იქნა და არ ედირსათ მწარმოებელთ. მოთმინებიდგან გამოსულებმა მწარმოებლებმა დეპეშით აცნობეს ქუთაისის გუბერნატორს და აგრეთვე ტფილისშიაც, რომ ბერძნები ჩვენს ქვას ეზიდებიან და ფულს-კი არ იძლევიანო. გთხოვთ განკარგულებას, რომ ქვა ფულ-მოუცემლად არ წაიღონ, თორემ ძალას ვიხმარებთ და ჩვენი ბრალი ნუღარ იქნებაო. ამ დეპეშის გამო ჟანდარმთა კაპიტანიც მოვიდა ჭიათურაში გამოსაძიებლად, ხოლო ჯერ-ჯერობით არ ვიცით, რითი გარდაწყდება ეს საქმე.

---

**სოფ. პატარძეული**, 2 მარტი. არც სოფელი პატარძეული დასტოვა უნუგეშოდ შარშანდელმა უბედურმა წელმა. დადგა გაზაფხული და ჩვენს ვენახებს უცნაურმა ფერმა გადაჰკრა. ყურძენი ისევ ყვავილში იყო, როდესაც კაზსნაცარი მოედო და ძალიან დააზიანა. წინად თუ ვაზს მწვანე ხასხასა ფოთლები ჰქონდა, შარშან ყვითლად შეიცვალა ეს ფოთლები. ამ სენს ზედ დაერთო მილდიუ, წვიმები და გოლვა, რომლებმაც უფრო ბოლო მოუღო ვენახებს. გლეხ-კაცი რომ ვენახში შედიოდა, გულ-დაკოდილი და თვალცრემლიანი გამობრუნდებოდა ხოლმე. ამ სენმა დაუმწიფებელი ყურძენი ზედ შეაჭკნო ვაზზედ, ყურძენი ხმებოდა ვაზთან ერთად და ძირს სცვიოდა საცოდავად. გლეხებმა მეველეები არ დააყენეს ვენახებში, რადგანაც იცოდნენ, რომ იმდენი ყურძენი არ მოიკრიფებოდა, რომ მეველე ულაპარაკოდ დაკმაყოფილი გაესტუმრებინათ. იმ ვენახის პატრონს, რომელსაც წინად მოსდიოდა 1—2 საპალნე ტკბილი, შარშან ორი ჩაფი არ გამოსვლია.

აი, ამ ნაირი სენი აქვს მოდებული პატარძეულის ვენახებს და დღემდის, აქაურ გლეხებს თუ არა, აზნაურებს მაინც ყურები ვერ გამოუპერტყიათ, რომ ამ სენს, ე. ი. ნაცარს, წამალი აქვს, რომელსაც გოგირდი ჰქვიან და რომელიც არც ისე ძვირია, როგორც ამ დალოცვილებსა ჰგონიათ. თუ ამ წამალს აქაური მევენახეები არ შეიძენენ და არ უწამლებენ დროზედ, თქვენი მტერი, ვერაფერი ვისარგებლოთ და სულ ამაოდ ჩაიაროს ჩვენმა ჯაფა-შრომამ, თუ სენმა ისევ ისე ნავარდობა დაიწყო, როგორც აქამდის.

განა მარტო ვაზის გაფუჭებით და ღვინის მოუსავლობით დაიწია ჩვენმა სოფელმა? არა, პურის მოუსავლობამაც ძალიან შეგვაწუხა. ჯერ იყო და კალიამ გაგვიოხრა მინდვრები, რომელშიაც ჩვენი წლის გამოსაკვები სარჩო გვქონდა; შარშან და წელსაც იმ გაუმაძღარ მტრებს თავები მოუმატნენ და ისე გაგვიხადეს მინდვრები, რომ არამც თუ ჯეჯილი არ დასტოვეს ხელ-მოკლე გლეხისათვის, არამედ მწვანე ბალახით შემოსილი უკავილიანი ყამირის მიწებიც ისე გახადეს, როგორც ხელის გული. თუ კიდევ თავი იჩინეს ამ გაუმაძღრმა მტრებმა და როგორიმე ღონისძიება არ ვიხმარეთ მათ მოსასპობლად, ადვილად შესაძლებელია, რომ პატარძეული დაიმშეს.

არც საქონლის ჭირმა გაგვიშვა წელს უპატივცემულოდ: დადგა იანვარი და თან მოიტანა საქონლის ჭირი. ორი თვეა, რაც ეს ავადმყოფობა მეზობლებს პატარძეულსა და ბერთუბანს შორის, თითქმის დღე და დღე მლიერდება და სწყვეტს საქონელს. ბევრი გლეხი სატირა ამ სენმა და ბევრსაც ატირებს, თუ ამ დაუზოგველმა ჭირმა რამდენისამე ხნით დაიხუდა აქ. გლეხები გულხელ დაკრებილები სხედან და ელიან, როდის მოისპობა ეს სენიო. საქონელს ვერ ამუშავებენ, რადგანაც შეიძლება ტანში ედგას სატკივარი და უფრო გაუძლიერდეს, უღელ ქვეშ რომ ამოაყოფინონ თავი.

ბილანი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ვ. გუნიას პასუხად, რომ ქალაქის გამგეობის მოხელეთა შორის 9—10%-ია რუსი და ქართველი, დანარჩენი სულ სომხები არიანო, გაზ. „Новое Обоз“-ე კვლავ პასუხს აძლევს და ამ პასუხსაც ისეთივე ხასიათი სდევს, როგორც წინანდელს მის შენიშვნას, რომ ეროვნების მხრივ ტფილისში მუშათა შორის არავითარი ცვლილება არ მომხდარა, რადგან ეს რომ ასე ყოფილიყო, ოპოზიციაში მყოფი ქართველი ხმოსნები ამას აღუნიშვნელად არ დასტოვებდნენო. აი რას ამბობს გაზეთი:

ჩვენ არ შეგვიმოწმებია ეს ცნობები, მაგრამ თუნდა ჭეშმარიტი იყოს იგი, ეგ კიდევ იმისი საბუთი არ არის, რომ ერთი გვარ-ტომობა მეორესა სდევნისო. მეორე ტფილისელი გაზეთი ამბობს, რომ ტფილისის ექიმთა შორის 50 სომეხია და მხოლოდ 11 ქართველი, ნაფიც ვექილთა შორის 30 სომეხია და 11 ქართველი, ქართველი ინჟინერები უფრო ცოტანი არიან. მაშ თუ საკმარისი რიცხვი არ არის ქართველებისა ამა თუ იმ თანამდებობაზედ დასანიშნავად, გვითხარით ერთი თუ ღმერთი გრწამთ, იმ ბრალს რადა ადგილი უნდა ჰქონდეს, ვითომ ერთი გვარ-ტომობა მეორესა სდევნისო.

ღმერთი გვრწამს და მოგახსენებთ კიდეც: თქვენვე ჰბრძანებთ, რომ 30 სომეხია და 11 ქართველი, 50 სომეხია და 11 ქართველი, მაშასადამე, თქვენისავე რიცხვით, თითქმის 1/3 ქართველი ყოფილა ისეთიც-კი, რომელთაც განსაკუთრებული ცოდნა ამა თუ იმ საქმისა ჰქონიათ. მაშასადამე, სადაც სამართლიანობაა, ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა შორის ხომ ერთს მესამედს უნდა შეადგენდნენ. საქმით-კი განა ასეა? ეს ერთი. მეორე, ეგ ქართველების შესახებ კიდევ კარგი, რუსები? არც იმათ ჰყავს საკმაო რიცხვი განათლებულთა ქალაქის გამგეობის ამა თუ იმ თანამდებობის აღსასრულებლად? ვ. გუნია ხომ რუსთა შესახებაც სწერდა და ეს რაღად გააპარა სიჩუმით სომხურ რუსულმა გაზეთმა? მესამე, უბრალო მუშანი, ის სამუშაონი, რომელსაც არავითარი განსაკუთრებული ცოდნა რისამე არა სჭირია? არც ასეთები ჰყავთ ქართველებს, რომ ქალაქის გამგეობის სამსახური შეიძლონ? მეოთხე: ვართანიანცის საქციელი, რომელმაც ქართველი მუშები განდევნა და სომხები მოიწვია იმათ ნაცვლად?!

ტყუილად აფარებს გაზ. „Нов. Обоз.“-ე თავისს დაკონკილს კალთას ქალაქის გამგეობას, რადგან ეს კალთა მეტად მცირეა ჩვენი ქალაქის გამგე-მმართველების დიდთა ცოდვათა დასაფარავად.

---

## რუსეთი

—

აღდგომის პირველ კვირას რუსეთში მობრძანდება ჯერ ავსტრიის იმპერატორი, შემდეგ სიამის მეფე, მერე გერმანიის იმპერატორი, იტალიის ტახტის მემკვიდრე თავისის მეუღლეთი, მთავარი ნიკოლოოზ ჩერნოგორისა, დიდი ჰერცოგი ჰესენ-დარმშტატისა თავის მეუღლეთი, წევრნი საბერძნეთის სამეფო სახლობისა და ბოლოს საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორი. პრეზიდენტი მობრძანდება ჯავშნიანის გემით, რომელსაც თან ახლდება სამხედრო ესკადრა. ფელიქს ფორი იცხოვრებს ახალ პეტერგოფში, დიდს სასახლეში—და მერე რამდენსამე დღით მოსკოვშიაც წავა, დიდებულ სტუმართა პატივსაცემლად პეტერბურგის სახელმწიფო თეატრში სადღესასწაულო წარმოდგენები გაიმართება.

— მოსკოვში განზრახვა აქვთ დააარსონ საკომერციო უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიაც მიიღებენ საშუალო საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ. უმაღლესს საკომერციო სასწავლებელში ასწავლიან, სხვათა შორის, საპოლიტიკო ეკონომიას, კანონმდებლობას, ანგარიშის წარმოებას, უცხო ენებს და სხ.

— ამ ზამთარს გადასწყდება საქმე იმის გამო, რომ ქარხნებში მომუშავე მცირე წლოვან ბავშვებს უექველად წერა-კითხვა ასწავლონ.

— ამ ბოლოს დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალი პროექტი მისდიოდა დასამტკიცებლად სამკითხველოების, წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა და სხვა ამ გვარ საზოგადოებათა წესდებისა. ბეჭვდითი საქმის უმთავრესი მმართველობა სთხოვს ყველა ამგვარ წეს-დების გამგზავნელთ ორი პროექტი წარად-

გინონ ხოლმე, რომ საქმე უფრო მალე იქმნას განხილული.

— მიწად-მოქმედების სამინისტრო ამ წელს ქალაქ მერვის ახლოს სცდის ბამბის მოყვანას. ამ საქმისათვის კასპიის იმიერ მხარეს გაგზავნილ იქმნება საგანგებო მოხელე, რომელიც ყოველ გვარ ღონისძიებას იხმარს, რომ ბამბის მოყვანის საქმეს გაუძღვეს და იქაურ მცხოვრებს ასწავლოს, როგორ უნდა მოყვანა და მოვლა ბამბას.

## დამაკვირდი

ნუ გგონია, რომ უძლური, უღონო მტერი ვერას მავნებსო, რადგან ხშირად ნაპერწკალიც ცეცხლს აჩენს.

საადი.

***

სიყვარული იჭვის მჭედელია.

პელიცო.

***

ნუ იქმ მთლად იმას, რაც შეგიძლიან; ნუ დახარჯავ სულ, რაცა გაქვს; ნუ ირწმენ ყველაფერს, რასაც გაიგონებ, და ნუ იტყვი სულ ყველას, რაც იცი.

ფრანგული ანდაზა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ერთს გერმანელს გაუკეთებია ოთახში ქაღალდის იატაკი, რომელიც თურმე გაცილებით სჯობია ფიცრის იატაკს. როგორც უნდა კარგად იყოს გაკეთებული ფიცრის იატაკი, მაინც ფიცარსა და ფიცარს შუა ადგილი რჩება, რომელშიაც მტვერი და ნაგავი ჩადის. ქაღალდის იატაკი-კი, გარდა იმისა, რომ სულ მთლიანი გაკეთდება, იმით არის კარგი, რომ ზედ სიარულის დროს ხმაურობა არ ისმის. ამ ქაღალდს პაპიროლიტს ეძახიან ანუ ქაღალდის ქვას. პაპიროლიტისაგან სახლებსაც-კი აშენებენ თურმე და ერთს კაცს მთელის ეკლესიის აგება მოუწადინებია პაპიროლიტით. პაპიროლიტის სახლი იმითია უკეთესი სხვა სახლებზედ, რომ ზამთარში თბილია და ზაფხულში—გრილი. გარდა ამისა, პაპიროლიტის სახლს სინესტე არ უჩნდება.

***

ადამიანმა ბევრი საიდუმლოება შეიტყო ბუნებისა, ბევრი ცოდნა შეიძინა. მეცნიერება ყოველ დღე ახალს რასმეს იკვლევს და სცდილობს გამოარკვიოს ბუნების საკვირველი კანონები. მაგრამ ჯერ მაინც კიდევ მრავალი გასაოცარი და გაუგებარი რამ არის ქვეყანაზედ. აი, მაგალითად, ჯერ მეცნიერთ არ გამოუკვლევიათ სპარსეთის ყურე. ეს ყურე იმდენად დიდია, რომ, რაც მთელს ქვეყანაზედ გემებია, აქ ადვილად დაეტევოდა. ზოგჯერ ამ ყურეში წყალი სისხლსავით გაწითლდება ხოლმე, ზოგჯერ-კი რძესავით თეთრია. ერთხელ ამ ყურეში სერ ჰენრი მენსს უნახავს, რომ ზღვაზე საოცარის სისწრაფით რაღაცეები მისცურავდა ცეცხლის ბურთის მსგავსები. ეს საკვირველი ამბავი ჯერ არავის გამოუკვლევია. ხშირად სპარსეთის ყურეში წყალი მოიწამლება ხოლმე და აუარებელი თევზი იხოცება. ამ ყურეში ძლიერ ბევრი თევზია დიდის ბურთის მსგავსი და მრავალი გველიც არის. ერთხელ გველები ნაპირას გამოსულიყვნენ და ერთმანერთი დაეხოცათ.

***

ერთს ფრანგულს ჟურნალში შემდეგი საკვირველი ამბავია დაბეჭდილი:

ქ-ნ ჟონნა ჰიუგოსა და ლეონ დოდეს ქორწინების რამდენსამე დღის წინად სახლიდგან ავეჯი გადაჰქონდათ. ერთი ოთახი უკვე სულ ცალიერი იყო, მხოლოდ ბუხართან დარჩენილიყო პატარა ნიჩაბი, მაშა და მავთულის ცოცხი. ამ ოთახში იყვნენ: ალფონს დოდეს მეუღლე, ქ-ნი ლოკრუა და ჟონნა ჰიუგო. მეორე ოთახში იყო ბ-ნი ლოკრუა.

უეცრად სამთავე ქალმა შიშით შეჰკივლეს. თურმე მავთულის ცოცხი თავის თავად გადმოვარდა ბუხრიდგან, ხტუნვით მივიდა ქალებთან და იქ დაეცა. ქალების კივილზედ გამოვიდა ბ-ნი ლოკრუა.

— რა ამბავია?—იკითხა ლოკრუამ.

— ცოცხი! პატარა ცოცხი დადის. ლოკრუა ჯერ ვერ მიხვდა. რა მოსჩვენებიათ ქალებსაო. ქალებმა უამბეს, ცოცხი ბუხართან ეგდო, უეცრად გადმოხტა და ჩვენთან მოგოგდაო. ლოკრუას ეს, რა თქმა უნდა, არა სჯეროდა, მაგრამ წარმოიდგინეთ იმის განცვიფრება, როდესაც ცოცხმა ისევ წამოიწია და ხტუნვითვე წავიდა ბუხართან, სადაც წინად ეგდო.

ამ საკვირველს ამბავს ჟურნალი დასძენს, ეს ის ცოცხი იყო, რომლითაც დიდებული პოეტი ვიქტორ ჰიუგო ბუხარში ცეცხლს ურევდა ხოლმეო.

***

ერთს ელექტროტეხნიკს, ი. რომანოვს, შეუდგენია ახალი პროექტი ჰაერში რკინის გზისა. ეს პროექტი ძლიერ საყურადღებოა. ამ ახალის რკინის გზის გამართვა, ბ-ნ რომანოვის სიტყვით, სულ ადვილი საქმეა. მიწაში მაგრა უნდა ჩაასონ რკინისა, ანუ ხის ბოძები და ზედ ორ რიგად დააწყონ რელსები. ზემო რელსებზედ ივლის ელექტრონის მანქანა და ქვეშ გაბმული ექმნება პატარა ვაგონები. ასეთი მატარებელი საათში 100 ვერსს ადვილად გაივლის თურმე. გარდა ამისა, ეს რკინის გზა მით უფრო სჯობია ეხლანდელს რკინის გზას, რომ მისი გაყვანა ყველგან ადვილია: მდინარეზედ, ხევზედ, მთებზედ და ვაკეზედ. ამასთანავე ჰაერში რკინის გზაზედ უბედურება აღარ მოხდება, არც მატარებლები დაეტაკება ერთმანერთს და ვერც ლიანდაგს გადასცდება. ბ-ნ რომანოვის სიტყვით, ამ რკინის გზის გამართვა უფრო იაფად დაჯდება, ვიდრე ყოველ სხვა გვარ რკინის გზისა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 მარტი

**პეტერბურგი.** ცნობილი პოეტი აპოლონ ნიკოლოზის ძე მაიკოვი 8 მარტს გარდაიცვალა.

ელენე ჟაკის მკვლელის პოპოვის საქმე: ნაფიც მსაჯულთ პოპოვი დამნაშავედ სცნეს, მკვლელობა განზრახ ჩაიდინა იმ აზრით, რომ ჟაკი გაეძარცვაო. ოლქის სასამართლომ დაადგინა,—პაპოვს ყოველივე ღირსება ჩამოერთვას და 18 წლით კატორგაში გაიგზავნოსო.

**ბერლინი.** რეიჰსტაგმა 204 ხმით 143-ს წინააღმდეგ პირველის სამხედრო ხომალდის გასაკეთებლად მოთხოვნილი კრედიტი არ შეიწყნარა, ხოლო მეორე სამხედრო ხომალდის გასაკეთებლად მოთხოვნილი კრედიტი უკამათოდ უარ-ყოფილი იქმნა.

**ლონდონი.** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ კრიტს ალყა შემოერტყაო.

**კონსტანტინეპოლი.** ხუთი ჯავშნიანი გემი, რომელთაც ჰარონ-ფაშა უფროსობს, დარდანელში გავიდა.

საბერძნეთის საზღვარზედ დაყენებულის ჯარის მთავარ-სარდალმა ედჰენ-ფაშამ თხოვნა შეიტანა, სამსახურიდგან განმათავისუფლეთო. აქ მოლოდინი აქვთ, რომ სომხების პატრიარქიც თავს დაანებებს სამსახურსაო. ეს უკანასკნელი სამსახურიდგან იმიტომ გამოდის, რომ სომხების კამიტეტების წერილმა შეაშინა, რომელშიაც დალაგებით არის დამტკიცებული, რომ ოსმალეთის მიერ დაპირებული ცვლილებანი აუსრულებელი რჩებაო.

**სუეცი.** ბრიტანიის საქონლისა და ტვირთის გემი „დალვარა,“ რომელსაც ბომბეიდგან ჯარი მოჰყავდა და რომელზედაც შავის ჭირით კაცი გარდაიცვალა, შეჩერებულ იქმნა.

**ქაირი.** ოსმალეთის ხაზინის სასარგებლოდ 15,000 გირვანქა სტერლინგი შეგროვდა; ქედივმა 2,500 გირვანქა შეიტანა. ამ ფულის შეგროვება რიაზ-ფაშამ და რამდენმამე სხვა ეგვიპტელმა იკისრეს.

10 მარტი

**მოსკოვი.** 9 მარტს „მალი“ თეატრში დაიწყო მთელის რუსეთის სცენის მოღვაწეთა კრება დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის მფარველობით. 1,000-მდე სული შეკრბა.

**ბერლინი.** მოღრუბლული ამინდია, მაგრამ ყოველს სახეზედ მხიარულება ატყვია. ეკკლესიებში ღვთის-მსახურებაა. იმპერატორის გვარეულობა და უავგუსტოესნი სტუმარნი დაესწრნენ ეკლესიაში ღვთის-მსახურებას, განსვენებულ იმპერატორის ვილჰელმ I-ის სახსოვრად გარდახდილს. შუადღისას იმპერატორი წავიდა ბრანდენბურგის კარით ვილჰელმ I-ის სასახლეში და თან მისდევდნენ მედროშენი დაფნით შემკულ უცხო ქვეყნის იმ რაზმების დროშებით, რომელთა შეფადაც განსვენებული იმპერატორი იმყოფებოდა. ამ ამბავს ათი ათასობით ხალხი დაესწრო.

**ბერლინი.** გამოცხადებულია იმპერატორის მანიფესტი ჯარის მიმართ: „ამიერიდგან ჯარი ატარებს ქუდზედ გერმანიის ნიშანს (კოკარდას), რომელიც მოკავშირეთაც გადასწყვიტეს მიუბოძონ თავისს ჯარს სახსოვრად გერმანიის დიდების დაცვისა. ჯარს, რომლისათვისაც განსვენებული იმპერატორი დაუღალავადა ჰზრუნავდა, ყოველთვის ეხსომება თავისი დიდი საგანი და დანიშნულებაო“.

1897 წლის 10 მარტის სახსოვრად წესდება მედალი, რომელზედაც ვილჰელმ I-ის სახე იქმნება ამოჭრილი. ეს მედალი უნდა ჩამოასხან დაპყრობილ ზარბაზნების ბრინჯაოსასაგან და ყოველთ უწინარესს ჯარში მოსამსახურეთ მიეცემათ ჯილდოდ.

**კანეა.** ყველგან გამოცხადდა ამბავი, რომ კრიტს ალყა უნდა შემოერტყასო. აქ ეჭვი აქვთ, რომ ვასოსსის რაზმმა, თუნდა გაწვეულიც არ იქმნას, დიდხანს შეიძლოს არსებობა ამ ქვეყნის ხარჯითაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც დროებითი შემწეობა აღმოუჩინეს ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს. სახელდობრ, აი ვინ რა შემოსწირა: ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა 25 მან., ივანე ლეჟავამ 3 მ., ჯიმიშე ნიკოლაიშვილმა 3 მ., სიმონ ჯაყელმა 3 მ., ივლიანე ქერქაძემ 3 მ., მელქისედეკ იმნაიშვილმა 1 მ., და დიმიტრი ნიკოლაიშვილმა 1 მ. ეს ფული შეაგროვა ქ. ოდესაში ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა და გადმოსცა ჩვენს სამკითხველოს.

ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს მმართველი ნესტორ მხეიძე
გამგე—კირილე წილოსანი
ხაზინადარი—ივანე ებრალიძე.

## განცხადებანი

ვაუწყებთ ქართველ საზოგადოებას და სამღვდელოებას, რომ განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახსოვრად ფონდის შესადგენად დაარსებულის კომიტეტის თავმჯდომარე ქუთაისის სასულიერო სემენარიის რექტორი არქიმანდრიტი დიმიტრი გადაყვანილ იქმნა ნოვგოროდის სასულიერო სემინარიაში ამავე თანამდებობაზედ, რის გამოც ხსენებულის კომიტეტის თავმჯდომარედ მის მაგიერ დაინიშნა ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი გაბრიელ ცაგერეიშვილი. დღეიდგან ყოველი შემოწირულებანი ხსენებულის ფონდისათვის შემომწირველთ უნდა გამოგზავნონ ამ უკანასკნელის სახელზედ. ამასთანავე ხსენებული კომიტეტი ატყობინებს განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის დიდებულის მოღვაწეობის დამფასებელთა და თაყვანის-მცემელთა, რომ უკვე გამოიცა ცალკე ფურცელზედ და ისყიდება ამ ფონდის სასარგებლოდ კრებული ნეტარხსენებულის ყ"დ სამღვდელოს სურათთა, რომელნიც წარმოგვიდგენენ მის სახეს ექვს სხვადა-სხვა დროს 30—35 წლის განმავლობაში, დღიდამ მღვდელ-მთავრად შემოსვლისა იმერეთის ეპარქიაში ვიდრე სიკვდილამდე. თითო ცალი ამა კრებულისა ღირს 1 მ. 50 კ. და მსურველს შეუძლიან იყიდოს ქუთაისში: კომიტეტის თავმჯდომარისაგან, საეპარქიო კანცელარიასა და იმერეთის საეპარქიო საეკკლესიო ნივთების საწყობში და ტფილისში—ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვრის მღვდლის მარკოზ ტყემალაძისაგან.

რადგან შესაძლებელია, რომ ამ სურათთა კრებული ვინმემ სხვამაც გამოსცეს ფულის მოსახვეჭად, და ამ ნაირად ამ წყაროდან შემოსავალი ასცდეს ამ წმინდა დანიშნულებას, ვაფრთხილებთ მყიდველთ, რომ ზემო აღნიშნულის აზრით ეს სურათები იყიდება მხოლოდ იქ, სადაც დასახელებულია, სხვაგან არსად.

(3—მ.—2)


ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1897 г. НА ТРИ ИЗДАНЯ:

I

„НОВОСТИ ДНЯ“

ГОДЪ ИЗДАНІЯ XV-Й

ежедневная газета

съ портретами государственныхъ и общественныхъ дѣятелей.

Подписная цѣна въ Москвѣ и на города: съ доставкою на годъ—8 р., на шесть мѣсяцевъ—5 р. 50 к., на три мѣсяца—3 руб., на одинъ мѣсяцъ—1 руб.

II

„НОВОСТИ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“.

Выходятъ ежемѣсячными книжками и даютъ въ русскомъ переводѣ лучшія произведенія иностранныхъ писателей: французкихъ, немецкихъ, англійскихъ, итальянскихъ, шведскихъ и проч.

Подписная цѣна на годъ 3 р. Вмѣстѣ съ еженедѣльнымъ литературнымъ приложеніемъ „СЕМЯ“ на годъ 4 рубля.

III

Еженедѣльное иллюстрированное литетатурное приложеніе

„СЕМЬЯ“

**Выходитъ по слѣдуюшей программѣ:** изящная литература (романы, повѣсти, разсказы, очерки, стихотворенія, драматическ. произведенія—оригинальныя и переводныя); научныя обозрѣнія, литературная, театральная, музыкальная и художественная критика; историческіе очерки и путешествія; біографіи; спортъ всѣхъ видовъ; изобрѣтенія, хозяйственныя свѣдѣнія, моды, смѣсь; задачи, шарады, ребусы, музыкальныя ноты; почтовый ящикъ; иллюстраціи ко всѣмъ отдѣламъ, портреты выдающихся дѣятелей, рисунки, объясненія къ рисункамъ, виньетки и преміи.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА 2 Р. ВЪ ГОДЪ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ВСѢ ТРИ ИЗДАНІЯ 12 р.

За эту сумму подписчикъ, слѣдовательно, получаетъ: 1) годовой экземпляръ газеты „НОВОСТИ ДНЯ“; 2) ежемѣсячный журнал „НОВОСТИ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“; 3) еженедѣльное иллюстрированное приложеніе „СЕМЬЯ“.

„Новости Дня“ и „Новости Иностранной литературы“ въ годъ—11 р. „Новости Дня“ и „Семя“—10 р.

АДРЕСЪ: москва, „новости дня“.

Въ главной конторѣ газеты „НОВОСТИ ДНЯ“ продается **АЛЬБОМЪ**

„коронаціонныя торжества“

(изданіе „новостей дня“ и „семья“).

албомъ отпечатанъ на хорошей бумагѣ и заключенъ въ изящную обложку, украшеиную акварельнымъ рисункомъ Л. О. Пастернака. Текстъ альбома заключаетъ въ себѣ историческую часть и подробное описаніе коронаціоныхъ торжествъ въ маѣ 1896 г. Въ альбомѣ помѣщено 90 рисунковъ и 100 портретовъ и группъ.

Цѣна альбому 2 руб., съ пересылкой 2 руб. 50 коп.


Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Марта 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.